



ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №14/39

2017 წლის 16 ივნისი

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების - ავტომანქანა ლექსუს GX470-ის (სახელმწიფო ნომერი ZWZ 068) სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო აღნიშნავს, რომ ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობის შესაბამისად ავტომანქანა ლექსუს GX470, სახელმწიფო ნომრით ZWZ 068 წარმოადგენს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებას.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიას და საკრებულოს 2017 წლის 07 ივნისის №5/27645 წერილით (თანდართული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2017 წლის 31 მაისის № MIA 6 17 01274153 წერილით) მომართა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ, რომელშიც დასმულია საკითხი ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების - ავტომანქანა ლექსუს GX470-ის, სახელმწიფო ნომრით ZWZ 068, საიდენტიფიკაციო კოდი JTJBT20X780171118 სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ, შემდგომში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის სარგებლობის უფლებით გადაცემის მიზნით.

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 108-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება, მათ შორის, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (შენობა-ნაგებობებით ან მათ გარეშე), აგრეთვე წილები/აქციები (გარდა მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებისათვის საჭირო ძირითადი (განუსხვისებელი) ქონებისა) სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაეცემა „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ქონების მმართველის დასაბუთებული მიმართვის საფუძველზე, ავტონომიურ რესპუბლიკას – ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიმართვის საფუძველზე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებით, ხოლო თბილისის შემთხვევაში – თბილისის მთავრობის გადაწყვეტილებით. ამავე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნაზე დასაბუთებულ - დადებით ან უარყოფით გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის საკრებულო, ხოლო თბილისის შემთხვევაში მთავრობა. შესაბამისი პასუხი წერილობით ეცნობება მოთხოვნის წარმდგენს მისი წარდგენიდან არაუგვიანეს 45 დღისა. თუ უფლებამოსილმა ორგანომ მოთხოვნის წარდგენიდან 45 დღის ვადაში გადაწყვეტილება არ მიიღო, მოთხოვნილი ქონება სახელმწიფოსათვის ან/და ავტონომიური რესპუბლიკისათვის საკუთრებაში გადაცემულად ქონებად ჩაითვლება და სახელმწიფოს ან/და ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებად რეგისტრირდება.

ამდენად, ყოველივე ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით მიზანშეწონილია განხორციელდეს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების - ავტომანქანა ლექსუს GX470-ის, სახელმწიფო ნომრით ZWZ 068, საიდენტიფიკაციო კოდი JTJBT20X780171118 სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემა, რათა შემდგომში ხსენებული მოძრავი ქონება სარგებლობის უფლებით გადაეცეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს.

აღნიშნულიდან გამომდინარე:

მუხლი 1.

გადაეცეს სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონება - ავტომანქანა ლექსუს GX470, სახელმწიფო ნომრით ZWZ 068, საიდენტიფიკაციო კოდი JTJBT20X780171118.

მუხლი 2.

ეთხოვოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ძალადაგაკარგულად გამოაცხადოს „თვითმმართველი ქალაქ ფოთის (თვითმმართველი ერთეული) 2012 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო - ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ფოთის საქალაქო სამმართველოსათვის შეძენილი 1 (ერთი) ერთეული მაღალი გამავლობის ჯიპის ტიპის ავტომობილის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის-ფოთის საკრებულოს თავმჯდომარის 2012 წლის 31 მაისის #223 ბრძანება.

მუხლი 3.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე მუხლის შესაბამისად, განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა №3).

მუხლი 4.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 54-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, განკარგულება ძალაშია კანონით დადგენილი წესით დაინტერესებული მხარისათვის გაცნობისთანავე.

**საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი,
თავმჯდომარის მოადგილე**

აკაკი დარჯანია